

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №24 2021 წლის 29 დეკემბერი

### ქ. ვანი

#### ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

#### მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 29.12.2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016413).

ვანის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

#### მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	15596.5	8441.5	7155.0	8500.0	165.0	8335.0
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6652.8	0.0	6652.8	7582.6	0.0	7582.6
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	8441.5	8441.5	0.0	165.0	165.0	0.0
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	502.2	0.0	502.2	752.4	0.0	752.4
ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7699.8	494.5	7205.3	9094.0	165.0	8929.0
შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1815.0	69.0	1746.0	2700.0	81.0	2619.0
საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	1344.5	360.5	984.0	1064.0	0.0	1064.0
პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.0	0.0	27.0
სუბსიდიები	3403.2	59.6	3343.6	3714.4	65.0	3649.4	4444.0	75.0	4369.0



გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	10.0	0.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	665.0	0.0	665.0	749.0	0.0	749.0
სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	124.8	0.0	124.8	100.0	0.0	100.0
საოპერაციო სალდო	8707.7	7986.3	721.4	7896.7	7947.0	-50.3	-594.0	0.0	-594.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8693.7	8211.4	482.3	9107.8	8501.6	606.2	-100.0	0.0	-100.0
ზრდა	8800.9	8211.4	589.5	9257.8	8501.6	756.2	150.0	0.0	150.0
კლება	107.2	0.0	107.2	150.0	0.0	150.0	250.0	0.0	250.0
მთლიანი სალდო	14.0	-225.1	239.1	-1211.1	-554.6	-656.5	-494.0	0.0	-494.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	-1266.7	-554.6	-712.1	-550.0	0.0	-550.0
ზრდა	183.5	0.0	183.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	225.1	225.1	0.0	1266.7	554.6	712.1	550.0	0.0	550.0
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-56.0	0.0	-56.0
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	56.0	0.0	56.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება  
 განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15881.5	8327.0	7554.5	15746.5	8441.5	7305.0	8750.0	165.0	8585.0
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	15596.5	8441.5	7155.0	8500.0	165.0	8335.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	150.0	0.0	150.0	250.0	0.0	250.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	15923.1	8552.1	7371.0	17013.2	8996.1	8017.1	9300.0	165.0	9135.0
ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7699.8	494.5	7205.3	9094.0	165.0	8929.0
არაფინანსური	8800.9	8211.4	589.5	9257.8	8501.6	756.2	150.0	0.0	150.0



აქტივების ზრდა									
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	56.0	0.0	56.0
წაშლის ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	-1266.7	-554.6	-712.1	-550.0	0.0	-550.0

### მუხლი 3. ვანის ბიუჯეტის შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 8500,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	15596.5	8441.5	7155.0	8500.0	165.0	8335.0
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6652.8	0.0	6652.8	7582.6	0.0	7582.6
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	8441.5	8441.5	0.0	165.0	165.0	0.0
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	502.2	0.0	502.2	752.4	0.0	752.4

### მუხლი 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 7582,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6652.8	0.0	6652.8	7582.6	0.0	7582.6
ქონების გადასახადი	330.3	0.0	330.3	250.0	0.0	250.0	300.0	0.0	300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	225.3	0.0	225.3	175.0	0.0	175.0	200.0	0.0	200.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	73.0	0.0	73.0	50.0	0.0	50.0	75.0	0.0	75.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	32.0	0.0	32.0	25.0	0.0	25.0	25.0	0.0	25.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	5703.1	0.0	5703.1	6402.8	0.0	6402.8	7282.6	0.0	7282.6



**მუხლი 5. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 165.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	8441.5	8441.5	0.0	165.0	165.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	281.2	281.2	0.0	395.7	395.7	0.0	165.0	165.0	0.0
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	145.0	145.0	0.0	145.0	145.0	0.0	165.0	165.0	0.0
საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	136.2	136.2	0.0	250.7	250.7	0.0	0.0	0.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	8045.8	8045.8	0.0	7665.8	7665.8	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6438.1	6438.1	0.0	5351.7	5351.7	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	570.0	570.0	0.0	570.0	570.0	0.0	0.0	0.0	0.0
საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	815.8	815.8	0.0	58.0	58.0	0.0	0.0	0.0	0.0
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	221.9	221.9	0.0	1686.1	1686.1	0.0	0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	1000.0	0.0	1000.0	380.0	380.0	0.0	0.0	0.0	0.0
სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა	0.0	0.0	0.0	380.0	380.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა სპეციალური ტრანსფერი	1000.0	0.0	1000.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 6. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 752,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	502.2	0.0	502.2	752.4	0.0	752.4



შემოსავლები საკუთრებიდან	244.9	0.0	244.9	330.9	0.0	330.9	552.4	0.0	552.4
პროცენტები	15.6	0.0	15.6	25.0	0.0	25.0	100.0	0.0	100.0
რენტა	229.3	0.0	229.3	305.9	0.0	305.9	452.4	0.0	452.4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	46.6	0.0	46.6	51.3	0.0	51.3	50.0	0.0	50.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23.2	0.0	23.2	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23.4	0.0	23.4	21.3	0.0	21.3	20.0	0.0	20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	13.8	0.0	13.8	30.0	0.0	30.0	50.0	0.0	50.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	108.6	0.0	108.6	90.0	0.0	90.0	100.0	0.0	100.0

**მუხლი 7. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 9094,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7699.8	494.5	7205.3	9094.0	165.0	8929.0
შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1815.0	69.0	1746.0	2700.0	81.0	2619.0
საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	1344.5	360.5	984.0	1064.0	09.0	1055.0
პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.0	0.0	27.0
სუბსიდიები	3403.2	59.6	3343.6	3714.4	65.0	3649.4	4444.0	75.0	4369.0
გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	10.0	0.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	665.0	0.0	665.0	749.0	0.0	749.0
სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	124.8	0.0	124.8	100.0	0.0	100.0

**მუხლი 8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -100,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში



დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი			
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8693.7	8211.4	482.3	9107.8	8501.6	606.2	-	100.0	0.0	-100.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8800.9	8211.4	589.5	9257.8	8501.6	756.2	150.0	0.0	0.0	150.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	150.0	0.0	150.0	250.0	0.0	0.0	250.0

**მუხლი 9. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში განისაზღვროს თანდართული რეადაქციით:

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
7.0	სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	15923.1	8552.1	7371.0	17013.2	8996.1	8017.1	9300.0	165.0	9135.0
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2570.5	0.0	2570.5	2631.7	0.0	2631.7	3558.1	0.0	3558.1
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2570.5	0.0	2570.5	2631.7	0.0	2631.7	3558.1	0.0	3558.1
7.2	თავდაცვა	93.4	75.2	18.2	97.5	80.0	17.5	135.5	90.0	45.5
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	93.4	75.2	18.2	97.5	80.0	17.5	135.5	90.0	45.5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6702.4	6290.1	412.3	8294.3	7572.3	722.0	211.4	0.0	211.4
7.4.5	ტრანსპორტი	6651.2	6290.1	361.1	8234.3	7572.3	662.0	138.4	0.0	138.4
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	51.2	0.0	51.2	60.0	0.0	60.0	73.0	0.0	73.0
7.5	გარემოს დაცვა	623.2	87.2	536.0	573.5	9.7	563.8	600.0	0.0	600.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	533.2	0.0	533.2	563.8	0.0	563.8	600.0	0.0	600.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	90.0	87.2	2.8	9.7	9.7	0.0	0.0	0.0	0.0
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	222.2	0.0	222.2	1098.4	806.1	292.3	200.0	0.0	200.0
7.6.4	გარე განათება	125.4	0.0	125.4	215.0	0.0	215.0	200.0	0.0	200.0



7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	96.8	0.0	96.8	883.4	806.1	77.3	0.0	0.0	0.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	92.6	76.5	16.1	94.7	65.0	29.7	110.0	75.0	35.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	75.7	59.6	16.1	92.0	65.0	27.0	110.0	75.0	35.0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	16.9	16.9	0.0	2.7	0.0	2.7	0.0	0.0	0.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2123.5	650.5	1473.0	1457.4	2.9	1454.5	1745.0	0.0	1745.0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1264.5	650.5	614.0	575.9	2.9	573.0	690.0	0.0	690.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	764.0	0.0	764.0	786.5	0.0	786.5	955.0	0.0	955.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0	100.0	0.0	100.0
7.9	განათლება	2796.2	1364.2	1432.0	2066.7	460.1	1606.6	1950.0	0.0	1950.0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1572.0	145.5	1426.5	1710.4	107.8	1602.6	1950.0	0.0	1950.0
7.9.2	ზოგადი განათლება	1224.2	1218.7	5.5	356.3	352.3	4.0	0.0	0.0	0.0
7.1	სოციალური დაცვა	699.1	8.4	690.7	699.0	0.0	699.0	790.0	0.0	790.0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	433.8	0.0	433.8	433.0	0.0	433.0	490.0	0.0	490.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	9.0	0.0	9.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	21.8	0.0	21.8	23.0	0.0	23.0	23.0	0.0	23.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103.5	0.0	103.5	107.5	0.0	107.5	90.0	0.0	90.0
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	37.1	8.4	28.7	37.5	0.0	37.5	35.0	0.0	35.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	93.9	0.0	93.9	91.0	0.0	91.0	145.0	0.0	145.0

**მუხლი 10. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს – 594,0 ათასი ლარის, ხოლო მთლიანი სალდო – 494,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები





საოპერაციო საღირსე	8707.7	7986.3	721.4	7896.7	7947.0	-50.3	-594.0	0.0	-594.0
მთლიანი საღირსე	14.0	-225.1	239.1	-1211.1	-554.6	-656.5	-494.0	0.0	-494.0

**მუხლი 11. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -550,0 ათასი  
 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	-1266.7	-554.6	-712.1	-550.0	0.0	-550.0
ფინანსური აქტივების ზრდა	183.5	0.0	183.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	225.1	225.1	0.0	1266.7	554.6	712.1	550.0	0.0	550.0

**მუხლი 12. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**  
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -56,0 ათასი ლარის  
 ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-56.0	0.0	-56.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	56.0	0.0	56.0

**მუხლი 13. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები**  
 განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული  
 კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და  
 ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს  
 მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება  
 ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია  
 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების





განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საბიუჯეტო პროგრამები: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტი.

### 1.1) საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 01)

**აღწერა:** საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და პროექტის ზედამხედველობას.

**მიზანი:** მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, გადაადგილების დროის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

### 1.2) ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02)

**აღწერა:** პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობა. უზრუნველყოფილი იქნება სტიქიის პრევენცია. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

**მიზანი:** მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის შესაძლო წყალმოვარდნებისაგან დაცვა, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

### 1.3) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 03)

### 1.4) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 04)

**აღწერა:** ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში განათების სისტემის ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდება ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

**მიზანი:** ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

### 1.5) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 05)

**აღწერა:** პროგრამით განხორციელდება ქალაქ ვანში გივი ყიფიანის სახელობის სკვერისა და ქალაქ ვანში ყოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე პარკისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

**მიზანი:** მოსახლეობისათვის სარეკრეაციო, დასასვენებელი და გასართობი სივრცეების შექმნა და



## 1.6) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (კოდი 02 06)

**აღწერა:** სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდება მოსახლეობის მიერ კრებებზე გამოთქმული სხვადასხვა სახის პროექტების და ღონისძიებები.

**მიზანი:** მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

## 1.7) სამოქალაქო ბიუჯეტი (კოდი 02 07)

**აღწერა:** პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას. პროგრამა ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსი უნდა ემთხვეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, განხორციელების ლოკაცია იყოს ვანის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, პროექტის მიზანი იყოს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა და წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას. სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული პროექტები მიიღებენ დაფინანსებას და განხორციელდება 2022 წლის განმავლობაში.

**მიზანი:** პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებას. იგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას.

## 2) დასუფთავება (კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

### 2.1) მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება (კოდი 03 01)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ვანის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და ნაგავსაყრელზე გატანას, რომელსაც ემსახურება სამი ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

**მიზანი:** ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა.

### 2.2) დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (კოდი 03 02)

## 3) განათლება (კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.



მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

### 3.1) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (კოდი 04 01)

**აღწერა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის განახორციელებს ქვეპროგრამების: სკოლამდელი აღზრდა და განათლების და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაციის დაფინანსებას.

**მიზანი:** სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

#### 3.1.1) სკოლამდელი აღზრდა და განათლება (კოდი 04 01 01)

**აღწერა:** ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი.

**მიზანი:** საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

#### 3.1.2) სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 04 01 02)

**აღწერა:** დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირების 26 ბაღი, საშუალოდ ერთ ბაღში სწავლობს 30 აღსაზრდელი (მ.შ. გოგო 15, ბიჭი 15) მუნიციპალიტეტში საშუალოდ წლიურად ბაღის ასაკის მოსახლეობის რიცხვი არის 700, (მ.შ. გოგო 350; ბიჭი 350) ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობისათვის, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მათ აღჭურვა სათანადო ინვენტარით. რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იქნება როგორც ქალთი და მამაკაცი პერსონალის, ასევე აღსაზრდელი გოგოების და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის მეზღუდული შესაძლებლობის მოქმედი პირების.

**მიზანი:** ბაგა-ბაღების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

### 3.2) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (კოდი 04 02)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამების დაფინანსება.



**მიზანი:** საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა.

### 3.2.1) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 04 02 01)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის ღონისძიებები. კერძოდ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლა, მომსახურებით სარგებლობს 25 სკოლის 878 მოსწავლე, მ.შ. 441 გოგო 437 ბიჭი. მომსახურებით სარგებლობს 11 შშმ პირი, მ.შ. 4 გოგო 7 ბიჭი. მოსწავლეებს კერძო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება მიკროავტობუსები 82 სხვადასხვა მარშრუტზე.

**მიზანი:** საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება.

### 3.2.2) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (კოდი 04 02 02)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის მიერ განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლებში სველი წერტილებისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები, გათბობის სისტემების მოწყობა-მონტაჟი.

**მიზანი:** კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.

## 4) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

### 4.1) სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

**აღწერა:** მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

**მიზანი:** ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

#### 4.1.1) სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (კოდი 05 01 01)

**აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, კერძოდ, ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას; პროექტებს: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები.

**მიზანი:** სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალბატონებში, ასევე მამაკაცებში ჯანსაღი



ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

#### 4.1.2) სპორტული დაწესებულებების მხარდაჭრა (კოდი 05 01 02)

**აღწერა:** სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

#### 4.1.3) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 03)

**აღწერა:** საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

#### 4.1.4) რაგბის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 04)

**აღწერა:** სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

**მიზანი:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

#### 4.1.5) სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 01 05)

#### 4.2) კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 05 02)

**აღწერა:** კულტურის სფეროს განვითარების პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს: კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01); სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02); კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04); კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05); დაფინანსებას.

#### 4.2.1) კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01)

**აღწერა:** ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები.

**მიზანი:** მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.



#### 4.2.2) სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02)

**აღწერა:** ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი მიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს.

**მიზანი:** მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

#### 4.2.3 კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 02 03)

#### 4.2.4) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტი აგრძელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

**მიზანი:** ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

#### 4.2.5) კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05)

**აღწერა:** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით;

**მიზანი:** ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

### 5) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს უზრუნველყოფს დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

#### 5.1 ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:



**მიზანი:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

### 5.1.1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01 01)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

**მიზანი:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

### 5.1.2) ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (კოდი 06 01 02)

### 5.2) სოციალური დაცვა (კოდი 06 02)

**აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მიზანი:** ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

### 5.2.1) ახალშობილთა ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 01)

**აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენისას 350 ლარის, მესამე 400 ლარის, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. 1-70000-მდე სარეიტინგო ქულაზე დახმარების ოდენობა გაიზრდება 20%-ით.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

### 5.2.2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 02)

**აღწერა:** მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 100 ლარს. ხოლო ის ოჯახები,





რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000 მდე, მიიღებენ 20%-ით მეტს.

**მიზანი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

### 5.2.3) მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (კოდი 06 02 03)

